

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინა ხატიაშვილი

კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემები
და გამოწვევები თანამედროვე საქართველოში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - საჯარო მმართველობა

შიფრი - 1109

თბილისი

2018 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ფაკულტეტი ბიზნესტექნოლოგიების
დეპარტამენტი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ოთარ ბაღათურია

რეცენზენტები

დაცვა შედგება 2018 წლის „.....“, საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე
კორპუსი, აუდიტორია

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
ასოცირებული პროფესორი ლ. ბერიკაშვილი

Resume

The dissertation work concerning the “Problems and challenges of National Policy realization in the sphere of culture in modern Georgia” is connected to the development of sphere of culture and issues of the participation of the state in the mentioned processes. For the mentioned aim there is researched the state administration system of the sphere of culture, there is unveiled disadvantages and optimization ways. Because of large scale character of the sphere of culture the main work is performed based on the result of the state management of the cinematography.

First of all there is researched the role of the state in the development of culture and the issues of the possibilities of the sustainable development of the culture of the state. For this aim there is researched the global, international and internal state challenges that stand for the Georgian modern state, there is developed the state aims and tasks in the sphere of culture, there is conducted the research in the constitution of the mentioned issues, in the strategic documents of the state, in the state budget and in governmental programs about compatibility in the governmental programs, there is discussed the examples of foreign countries and there is made comparison, as a result of which there is received the report: the tendency of decrease of the involvement of the state in the management of the cultural sphere is characteristic of the economically strong states with international influence. The culture can play important role in the formation of the value system of the society, in particular in the development of the reasoning.

In the work there is researched the system of the management of sphere of culture of the state – the general face, the structure and functioning on the examples of the system of management of the particular institution in the frame of the management principles and approaches of the reforms of the public service. While the research there was also seen the attempt of the involvement of the certain groups in the management of administrative organ, participation of the chosen persons with professional sign in the process of preparation and support from the management team of the actions. There is made the analysis of the mentioned practice according to the scientific management approaches.

The important part of the research is connected to the indicators of the state budget, in the program budget and description of the cultural sphere projects in the state plans. While the research there is seen the flaw of the reflection of the indication of the projects in the different documents of the report, the weak report obligatory connection between the management levels. There is made in the proper plans the recommendations of the detailed indicator of the action plan of organization. Also there is offered addition of the evaluation assessment of the spectator, of plans taken into account by the program budget and in their performance reports.

In the work there is widely seen the management system of the projects that are researched, that for the curtain type of the projects there are not given regulations, which are given in resume as not enough law of the management.

Also, in the administrative organ there doesn't exist the will to implement the mechanisms of the management on those districts where regulations are in deficit, accordingly, there is recommended the perfection of the rule of the management.

In the work there is given in details in the administrative organ important and management of the film production projects according to the main stages. For the research of the choose-evaluation of the projects for the research there is researched the existing situation for the completion of the expert commission and in the frame of its work, there is made recommendations taking into account the effectiveness, demands of the transparency and modern approaches in the public service. The priority of the model of the share of the choose-evaluation system of the argument projects, their possibility for the effective realization of politics taken into account by governmental program.

In the work there is said existence of the regulations in the reporting systems and management monitoring of the project management of the film production.

There is conducted the research about necessity to implement the measures necessary for the provision to the wide circle of the society of the performed films made by financial support of the state and there is given the recommendation to reach the effectiveness of the mentioned result.

Dissertation work is the first large scale research about the state administration of the sphere of the culture. The approaches and recommendations represented in the work, we hope we have, and will be implemented while state management of the sphere that should be researched, also generally state sphere.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კულტურა უდიდეს როლს ასრულებს სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და განვითარებაში. დღევანდელ საქართველოში კულტურა მნიშველოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს მზრუნველობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კულტურის სფეროს სახელმწიფო ადმინისტრირების სისტემის კვლევა, ნაკლოვანებათა გამოვლენა და ოპტიმიზაციის გზების დასახვა.

თემა აქტუალურია იმის გამო, რომ სახელმწიფოში მიმდინარეობს საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელის მიზანია ეფექტური სახელმწიფო მართვის უზრუნველყოფა მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ხარისხობრივი გაუმჯობესების, მათთვის ერთიანი, კოორდინირებული მიდგომების შემუშავების, გამჭვირვალების, პროგნოზირებადობის და პასუხისმგებლობის ამაღლების გზით. საკვლევ სფეროსთან შემხებლობაში არსებული რეფორმისეული მიმართულებები, თანამედროვე პირობებში დანერგვის და აპრობაციის პროცესშია. კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობის სისტემა ხასიათდება რიგი სპეციფიურობით, რაც თავად სფეროს თავისებურებებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, რეფორმის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული მიმართულებები და მიდგომები საკვლევ სფეროს შემთხვევაში განსაკუთრებულ გადაწყვეტას საჭიროებს. ნაშრომი აქტუალურია იმის გამო, რომ კვლევა შესრულებულია აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით, საჯარო მმართველობის მიმდინარე რეფორმის მიზნებთან ადაპტაბელობის ფორმატში.

ნაშრომში განხილულ პერიოდში, პოლიტიკის რეალიზაციისთვის კულტურის სფეროში დამახასიათებელია მთელი რიგი პრობლემები და გამოწვევები, რაც უპირველესად გულისხმობს სახელმწიფო ინტერესის წარმოჩინების გარკვეულ დეფიციტს. კვლევა წარმოებდა პროცესების კანონზომიერებათა, მექანიზმებისა და პრაქტიკაზე დაკვირვებით

არსებული წინააღმდეგობების გამოვლენის და მათზე რეაგირების გზების დასახვის მიზნით, რაც მოცემულია წარმოდგენილ ნაშრომში და ამდენად მის აქტუალობასაც განაპირობებს.

გარდა ზემოთქმულისა, საზოგადოებაში ემპირიულად არსებობს მოლოდინი კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა. რაც ასახულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ამ მხრივაც, ნაშრომის აქტუალობა წარმოდგენილია როგორც ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება.

კვლევის ობიექტი და საგანი - კვლევის ობიექტია საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკა კულტურის სფეროში. კვლევის საგანია - კულტურის სფეროში თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ფორმები და ტენდენციები მათი ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით.

კვლევის მიზნები და ამოცანები - კვლევის ძირითადი თეორიული მიზანია - სახელმწიფოს როლის ანალიზი კულტურის სფეროში პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაში, პრაქტიკული მიზანი - კულტურის სფეროს სახელმწიფო რეგულირების პროცესში რეალურად არსებული სიტუაციის როგორც მისი (აღნიშნული პროცესის) მახასიათებელი და განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორის კვლევა.

კვლევის ამოცანები განისაზღვრა მისი მიზნებით და დაკონკრეტდა შემდეგნაირად:

- სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების განსაზღვრა-დაზუსტება კულტურის სფეროს რეგულირების პროცესში, რეგულირებადი ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პოლიტიკისა და კულტურის ურთიერთზე გავლენის სპეციფიკის გამოვლენა;
- კულტურის სფეროს სახელმწიფო რეგულირების ძირითადი წინააღმდეგობებისა და პრობლემების გამოვლენა და ანალიზი;

- საქართველოს კინემატოგრაფიის დარგის დახასიათება, როგორც კულტურის სფეროს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სუბიექტისა;

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი

განსაზღვრულ ამოცანათა გადაჭრის მიზნით გამოყენებულია ზოგადმეცნიერული მეთოდები: თეორიული ნაწილის ანალიზის პროცესში

- სტრუქტურულ-ფუნქციონალური, თემის პრაქტიკული საკითხების განხილვისას - (დოკუმენტების, მათ შორის ოფიციალური ნორმატიული აქტების, ორგანიზაციებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის) ანალიზი, სინთეზი, შედარება, განზოგადება, ინდუქცია, დედუქცია, ტიპოლოგიზაცია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- ჩამოყალიბებულია ავტორის პოზიცია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეფორმირების პირობებისა (ურთიერთობები საზოგადოების წევრებს შორის, ასევე მათი დამოკიდებულება მოვლენებისა და ფაქტებისადმი აღქმის, შეფასების და შემდგომი რეაგირების კონტექსტში) და კულტურის სფეროს რეგულირების პროცესში სახელმწიფოს როლის გააზრების მიმართ;
- მოცემულია კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეფასება სახელმწიფოს განვითარების გარდამავალ პერიოდში, საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის შესაბამისად, გამოვლენილია ძირითადი წინააღმდეგობები, როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული, რომლებიც აფერხებენ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას (რესურსების განაწილება კულტურის დარგებს შორის, ინტერესთა გავლენები, კულტურის სფეროს პროექტების მართვის კრიტერიუმები და სხვ.);
- სახელმწიფოს პოლიტიკა კულტურის სფეროში გაანალიზებულია, როგორც არსებული პრობლემების გაცნობიერებისა და ანალიზის,

შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების, რეალიზაციისა და შედეგების შეფასებისკენ მიმართული საქმიანობა;

- გაანალიზებულია კულტურის სფეროს სახელმწიფო რეგულირების სისტემის სტრუქტურა, მექანიზმები, ფორმები, პრობლემები (კინემატოგრაფიის მაგალითზე). ამის საფუძველზე შემუშავებულია ხელისუფლების ორგანოების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა

- სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევებისა და კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის საკითხის კვლევა იძლევა კულტურული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობების შესახებ არსებული წარმოდგენის გაფართოების საშუალებას;
- ნაშრომში მოცემული თეორიული დასკვნების გამოყენება კი შესაძლებელი იქნება შემდგომში, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებისას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

- კვლევის პროცესში მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და მისი რეალიზაციის სისტემის სრულყოფისათვის, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე;
- სადისერტაციო ნაშრომის მასალების გამოყენება შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესში პოლიტოლოგიის, სახელმწიფო მართვის, კულტუროლოგიისა და კულტურის სოციოლოგიის დარგში.

კვლევის დასაწყისში წინსწრებით აღინიშნა, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა კულტურას და მის დარგებს, განსაკუთრებით კინოს უდავოდ სჭირდება, საკითხი ეხება მხოლოდ შესაბამის მმართველობის სისტემაში სახელმწიფო მიზნების ეფექტიანად მიღწევის გზების ძიებას.

აღსაღნიშნავია, რომ კულტურის სფეროს და მისი თითოეული დარგის სახელმწიფო მმართველობის სისტემა ასრულებს საკმაოდ ტევად

და მნიშვნელოვან სამუშაოს. კვლევის ინტერესს წარმოადგენს ხარვეზების გამოვლენა არა კრიტიკის, არამედ მათი აღმოფხვრის, გამოწვევების გამოვლენა - მათზე რეაგირების მიზნით. საბოლოო ანგარიშით, კვლევის მიზანს წარმოადგენს კულტურის სფეროს მართვის სისტემის ოპტიმიზაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლებისთვის, რაც ასახულია წარმოდგენილი ნაშრომის სათაურში. ამასთანავე, კვლევა მიზნად ისახავს კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გრძელვადიან სტრატეგიასთან მმართველობის სისტემის შესაბამისობაში მოყვანას, კულტურის სფეროს სახელმწიფო მართვის ხარისხის გაუმჯობესებას და ამდენად - კულტურის სფეროს განვითარების ხელს შეწყობას.

კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობის საკითხების კვლევისას მნიშვნელოვანია კულტურისა და სახელმწიფოს ცნებების, დანიშნულების, მიზნების, შესაძლებლობების ანალიზი, მათ ფუნქციონობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. უპირველესად ვიკვლევთ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებს და კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე ვიკვლევთ საჯარო სამსახურს, როგორც მმართველობითი სისტემის ნაწილს.

კვლევის მიზნების შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომის პირველ თავში განხილულია სახელმწიფო პოლიტიკა კულტურის სფეროში, სახელმწიფო მიზნები და ამოცანები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი კონცეფციების და საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით. აქვე წარმოდგენილია საკვლევ სფეროში სახელმწიფო მიზნებისა და ამოცანების ასახვა სახელმწიფოს ფუძემდებლურ და სტრატეგიულ დოკუმენტებზე, სახელმწიფო პროგრამებსა და ბიუჯეტზე. ნაშრომის მეორე თავში მოცემულია კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობის სისტემის კვლევა-სტრუქტურული და ფუნქციონალური ანალიზი. ნაშრომის მესამე თავი მოიცავს კვლევას პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული

პროექტების მართვის შესახებ. ვინაიდან კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობის შესახებ მოცულობითი ნაშრომი ქართულ სამეცნიერო სივრცეში ვერ იქნა მოძიებული, კვლევა ჩატარდა დაკვირვების მეთოდით. ნაშრომში ძირითადად მიმოხილულია 2016 წლის მდგომარეობით არსებული მასალა (ორგანიზაციულ-სტრუქტურული სურათის და უახლესი დასრულებული პროექტების ანგარიშგების დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მიხედვით). აღნიშნულმა მიდგომამ მოგვცა საშუალება, გამოგვევლინა სისტემის სუსტი მხარეები. გამოკვლეულია მართვის ქვესისტემები ნაშრომში განხილული პერიოდის შესაბამის, 2016-2019 წლების სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ კულტურის შესახებ გაკეთებულია ჩანაწერების: „სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნებისაკენ“ და „თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პრიორიტეტების შესაბამისად, ხდება საუკეთესო პროექტების შერჩევა და განხორციელება“- სთან და საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს განვითარების ხედვასთან ადაპტაბელობის კუთხით.

ამრიგად, ნაშრომის სტრუქტურა აგებულია მმართველობითი დონეების მიხედვით ზედა იერარქიული საფეხურიდან ქვედა რგოლების მიმართულებით. თითოეული თავი ითვალისწინებს შედეგების ანალიზს და სრულდება დასკვნით, რითიც საბოლოო ჯამში „იკინძება“ კულტურის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემებისა და გამოწვევების მთლიანი სურათი. კვლევის შედეგებზე და დაკვნაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები.

ნაშრომის შედეგები

კულტურის სფეროში სახელმწიფო მიზნების რეალიზება ეფუძნება ორ ძირითად მიმართულებას:

- მიდგომებს კულტურის სფეროს განვითარების და მისი სახელმწიფო მიზნებთან ადაპტაბელობის შესახებ;

- მმართველობის ეფექტიან სისტემას.

სახელმწიფოს მზრუნველობა კულტურის სფეროსადმი უპირველესად საზოგადოებისთვის სულიერი საზრდოსა და კულტურის სერვისების მიწოდებას გულისხმობს. ამ მიდგომით საკვლევი სისტემა განსხვავდება არასახელმწიფო სექტორში არსებული კულტურის ორგანიზაციებისგან, რომელთაც თავიანთ მიზნებში პრიორიტეტულად შესაძლოა დასახული ქონდეთ ეკონომიკური სარგებლის მიღება ან კულტურის მუშაკთა შემოქმედებითი რეალიზება.

კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე კულტურის სფეროს მეშვეობით რეაგირების შესაძლებლობის გამოყენებას. კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს იმ ღირებულებების დამკვიდრებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის განვითარებას. საერთაშორისო გამოწვევებზე საპასუხოდ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის სულიერ უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მათ შორის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბა და საზოგადოების საერთო ღირებულებების მიხედვით გაერთიანება, რაც ასევე კულტურის სფეროს პრეროგატივაა. აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებასაც, რომ კულტურის როლისა და შესაძლებლობების სათანადო რეალიზაცია ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით თითქმის არ ხდება.

კულტურის სფეროსადმი სახელმწიფოს მზრუნველობის ხარისხის ერთ-ერთი გამოხატულებაა მისი დაფინანსების პარამეტრები, რაც მოცემულ შემთხვევაში მცირეა. კიდევ უფრო ნაკლებია კინემატოგრაფიის მხარდაჭერის მიზნით გაწეული სახელმწიფო სახაზინო დანახარჯები. კულტურის სფერო ძლიერ არის დამოკიდებული სახელმწიფო სახსრებზე.

კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობისთვის გამოიკვეთა რიგი კანონისმიერი გამონაკლისები, რომლებიც ზრდის გადაწყვეტილების მიმღები პირის შესაძლებლობებს და ამცირებს მის პასუხისმგებლობას. აღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს, როგორც „რბილი მმართველობა“. საგულისხმოა, რომ სპეციფიკის გათვალისწინება ყოველთვის არ შეიძლება

გულისხმობდეს მართვის წესის გამარტივებას. პირიქით, ისეთ საკითხებში, სადაც სამართავი სიდიდის გაზომვა რთულია და ასეთი არის შემოქმედებითი ხასიათის პროექტები, უნდა გაიზარდოს ადმინისტრირების ხარისხი, უნდა ხდებოდეს გამონაკლისების მიხედვით ანგარიშგება. საგულისხმოა ის გარემოებაც, საზოგადოებაში არსებობს ნეგატიური აღქმადობა კულტურის სფეროს მმართველობის გარკვეული ასპექტების შესახებ, რაც მოცემულ სისტემაში ინტერესთა ჯგუფების არაფორმალურ გავლენას თუ ამგვარის მცდელობას უკავშირდება. ამიტომ სახელმწიფო ინსტიტუციათა საქმიანი რეპუტაციის შენარჩუნებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ღიაობის პრინციპის დაცვა და გამჭვირველების ხარისხის გაუმჯობესება. ასევე მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით შესრულებულ პროექტებზე საზოგადოებისთვის წვდომის შესაძლებლობების გაზრდა და ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა.

ნაშრომის სტრუქტურა - ნაშრომი ნაშრომი შედგება სამი თავისა და ცხრა ქვეთავისგან, რაც ჯამში წარმოადგენს 140 გვერდს. ნაშრომს ახლავს დანართები.

ნაშრომის პირველ თავში ჩატარებულია კვლევა სახელმწიფოსა და კულტურის შესახებ, შესწავლილია თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მიზნები და ამოცანები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი კონცეფციების, დადებული საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით, გამოკვლეულია კულტურის სფეროში სახელმწიფო მიზნებისა და ამოცანების ასახვა კონსტიტუციაში, სტრატეგიულ დოკუმენტებში, სახელმწიფო ბიუჯეტში და სამთავრობო პროგრამებში.

კვლევის შედეგად გამოვლენილია, რომ სახელმწიფოებრიობის ინდექსი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად შეუძლია სახელმწიფოს საკუთარი არსებობის შეინარჩუნება, თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფა, საშინაო და საგარეო საკითხების გადაწყვეტა, საქართველოსთვის

დღეის მდგომარეობით საკმაოდ დაბალია. ქვეყანა დგას მნიშვნელოვანი საგარეო გამოწვევების წინაშე, რომელთა შორის უმთავრესი დეფრაგმენტაციის საფრთხეა. საშინაო გამოწვევებიდან მთავარია ეკონომიკასთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, სახელმწიფოებრივი აზროვნების საკითხები.

კულტურას თავისი სოციოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში იმ ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, მოახდინოს საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე, მოახდინოს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება/განმტკიცება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კულტურის როლისა და შესაძლებლობების რეალიზაცია ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით ნაკლებად ხდება.

საქართველოში კულტურის სფეროსთვის აუცილებელია სახელმწიფო მზრუნველობის მაღალი ხარისხი როგორც დეკლარირებული პოლიტიკის, ასევე მისი განხორციელების და სახელმწიფო ფინანსური რესურსების განაწილების ასპექტებში. კულტურის სფეროზე სახელმწიფოს მზრუნველობის პრიორიტეტების აქცენტირების შემცირება დამახასიათებელია კარგად განვითარებული, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოებისათვის. ასეთ ქვეყნებს ასევე ახასიათებებს დიდი მოცულობის სახელოვნებო პროდუქტის ექსპორტი. იუნესკოს სტატისტიკის თანახმად, მხატვრული ფილმების წარმოების მიხედვით ინდოეთის შემდეგ მეორე ადგილს აშშ იკავებს. წამყვან პოზიციებზე არიან გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანია. თანამედროვე ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყანა არ არის მზად კულტურის სფეროსადმი სახელმწიფო მზრუნველობის ხარისხის შემცირებისთვის. პირიქით, კულტურის სფეროს ჭირდება მეტი თანადგომა სახელმწიფოს მხრიდან,

თავის მხრივ კულტურასაც აქვს შესაძლებლობა, მეტი სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას.

ვინაიდან კულტურის სფეროში სახელმწიფო მიზნების რეალიზება დამოკიდებულია იმ სისტემის ეფექტიანობაზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფო მხარდაჭერა, ამიტომ ვიკვლევთ კულტურის სფეროში სახელმწიფო მმართველობის სისტემას, მის ზოგად სახეს, სტრუქტურას, ფუნქციობასა და ბიუჯეტის მაჩვენებლებს. ასევე შესწავლილია პროექტების ასახვა პროგრამულ ბიუჯეტში. გამოკვლეულია კულტურის სფეროს სპეციფიურობასთან დაკავშირებული მმართველობის თავისებურებები. აღნიშნული სამუშაოები ჩატარებულია **ნაშრომის მეორე თავში**.

კომპლექსური ანალიზის შედეგად გამოვლენილია სხვა მხარჯავ დაწესებულებებთან შედარებით კულტურის სფეროს მცირე ბიუჯეტირება და თავად საკვლევ დარგში-კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერისთვის განსაზღვრული საგრძნობლად მოკრძალებული სახაზინო ხარჯები. სამინისტროს გეგმებში კინოწარმოება უკანასკნელ, მეოთხე პრიორიტეტად განიხილება. ქვეყნის მაშტაბით კინოს დარგში მინიმალურად მცირე რაოდენობის სახელმწიფო ინსტიტუციები ფუნქციონირებენ, მაშინ როდესაც ხელოვნების სხვა დარგებში შესაბამისი უწყებები 20 და 30-ჯერ მეტია.

ნაშრომის მეორე თავში ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილია, რომ დაგეგმვისა და ანგარიშების შიდაუწყობრივი პროცესი შეიცავს რიგ ხარვეზებს, რაც გამოიხატება სამუშაოს შესრულების რიცხობრივი მაჩვენებლების ცდომილებაში და ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის ფუნქციონალურად დაბალ ხარისხში. კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი აუდიტორის ყოველწლიური შემოწმების პარამეტრები, რომლის მიხედვითაც არ არის მოიაზრებული პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ინსპექტირება, ასევე ზემდგომი, მაკო-

ორდინირებული უწყების შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს პერიოდულობა და ფორმატი (ქვეუწყობრივი ორგანიზაციების გეგმიურ/შერჩევითი აუდიტი, რაც შეიძლება რამდენიმეწლიან ინტერვალს მოიცავდეს) მიუხედავად შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხისა, არ არის საკმარისი ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობს მკაცრად ჩამოყალიბებული მოთხოვნები ორგანიზაციის სამოქმედო გეგმისთვის. საკვლევი ორგანიზაციის წლიური სამოქმედო გეგმა არ შეიცავს ყველაზე დიდბიუჯეტური, ფილმწარმოების კონკურსების შესახებ ინფორმაციას. უწყობრივი ანგარიშვალდებულების ხარისხი ვლინდება როგორც მაკოორდინირებული ორგანოს მხრიდან კონტროლის, ასევე ორგანიზაციის სამოქმედო გეგმების და ანგარიშგების დოკუმენტების არასაკმარის ხასიათში.

ორგანიზაციის სამუშაო გეგმასთან და მისი შესრულების ანგარიშებთან დაკავშირებით აღინიშნება ხელმისაწვდომობის ნაკლები ხარისხი. სასურველია აღნიშნული დოკუმენტების ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსება, რაც ღიაობის პრინციპს წარმოადგენს.

პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და აქტივობების შესაფასებლად დადგენილი კრიტერიუმები და მაჩვენებლები არასამარისია. კინოპროექტის განხორციელების შესაბამისი (აქტივობის) შეფასების მაჩვენებელს წარმოადგენს ინფორმაცია კინოჩვენებათა და დამსწრე მაყურებელთა რაოდენობის შესახებ. მაყურებელთა რაოდენობა ცალსახად არ მეტყველებს პროდუქციის ხარისხზე. ის მეტყველებს მაყურებლის დაინტერესებაზე, რაც შესაძლებელია სულაც არ იყოს გამოწვეული ფილმის ხარისხით. ცალკე საკითხავია თუ რამდენად გამოხატავს კინოთეატრში მისული მაყურებლის რაოდენობა ფართო საზოგადოების კინოსურათით დაინტერესებას, ვინაიდან დღევანდელი სოციალური სურათის გათვალისწინებით ყველას არ აქვს საშუალება გადაიხადოს კინოთეატრის ბილეთის საფასური. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ყველა

ადამიანი სახელმწიფო მზრუნველობის ობიექტია და სახელმწიფო სუბსიდირებით დამზადებულ პროდუქციის მომხმარებელი, თუნდაც სატელევიზიო ჩვენებების მეშვეობით. ამიტომ კინოსურათის ხარისხის დასადგენად მიზანშეწონილი იქნებოდა მაყურებელთა ფართო ფენების მოსაზრების ცოდნა, ასევე კრიტიკოსთა შეხედულების გათვალისწინება.

პრაქტიკული საკითხების განხილვისას გამოვლენილია ადმინისტრაციული ორგანოს არასათანადო ორიენტირებულობა ეფექტიანობის და პროდუქტიულობის პრინციპების დაცვაზე, რაც გამოიხატება შემდგომში: ორგანიზაციაში არ იხილება საქმიანობის სრულყოფის წინადადებები. მსვლელობა ეძლევა მხოლოდ ცალკეული ჯგუფების ინიციატივებს და ამგვარი მიდგომა მხარდაჭერილია სამინისტროს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე სამუშაო ჯგუფის პროდუქტიულობა ნულის ტოლია, საკითხის მომზადების დელეგირება მაინც მასზე ხდება. ამასთანავე ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შეესაბამება კინემატოგრაფისტებისაგან შემდგარი ჯგუფის კომპეტენცია დებულებაში ცვლილებების შეტანის, კონკურსების მეშვეობით ორგანიზაციის მიზნების ეფექტიანად მიღწევის შესახებ საკითხების მომზადებას. ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია ასეთია: (აღნიშნულ ჯგუფთან) „განხილვისა და აზრთა შეჯერების გარეშე კინოცენტრისთვის შეუძლებელი იქნება შემოთავაზებული ცვლილებების გატარება“. მსგავსი ფაქტები უარყოფითად ისახება საზოგადოებაში სახელმწიფო ადმინისტრირების ხარისხის აღქმადობაზე, რაც საყურადღებო უნდა იყოს ზოგადად ყველა ადმინისტრაციული ორგანოსთვის.

კვლევისას გამოიკვეთა კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობისთვის კანონით დაშვებულია რიგი გამონაკლისები, რომელთა შედეგადაც საკონკურსო პროექტების შემფასებელი მუშაკები საჯარო სამსახურში კონკურსის გარეშე, ორგანიზაციის დირექტორის გადაწყვეტილებით ინიშნებიან. აღნიშნული მიდგომა ამცირებს არჩევანის

მრავალფეროვნებას და საბოლოო ჯამში-შესარჩევი კანდიდატებისადმი მოთხოვნების შემცირების მიზეზი შეიძლება გახდეს.

გამოიკვეთა კულტურის სფეროსთვის დამახასიათებელი, კანონით გათვალისწინებული სხვა გამონაკლისიც. პროექტებისთვის სახელმწიფო თანხების ნორმატიული მოთხოვნების უგულვებელყოფით მიკუთვნების რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიმღები პირის პასუხისმგებლობა მხოლოდ დისციპლინური სახით დგება. ვერ ისაზღვრება სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი არა კონკურსის შედეგად გამარჯვებული, არამედ სხვა პროდიუსერისთვის თანხების მიკუთვნების შემთხვევაშიც. გადაწყვეტილების მიმღები პირის პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაშიც დისციპლინური წესით შემოიფარგლება.

ასევე აღინიშნა საკვლევ ორგანიზაცია სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში მსგავსი პროექტების მართვის პრაქტიკა. დუალისტურად პროექტების მართვა ზოგადად, ადმინისტრაციული ხარჯის გაზრდას იწვევს, ამიტომ მნიშვნელოვანია ახალი პროექტების დანერგვისას ორიენტირებულობა ხარჯების შემცირებისკენ.

ნაშრომის მესამე თავში გამოკვლეულია პროექტების მართვა. განხილულია ფილმწარმოების პროექტების მაგალითი, შერჩევა-შეფასების, მონიტორინგისა და ანგარიშის სისტემები, ასევე თემატური კონკურსების შესაძლებლობები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მცირე სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის გამო ორგანიზაცია ატარებს ფილმების ბიუჯეტის შემცირების პოლიტიკას, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად ისახება მთლიანად სექტორის მდგომარეობაზე. კონკურსის საექსპერტო კომისიის შეფასებებში გვხვდება ჩანაწერები, რომლებიც გამოხატავენ ექსპერტების პოზიციას იმის თაობაზე, რომ შესაფასებელი პროექტი ძვირიანია საკონკურსო ფონდთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალიზების შესაძლებლობა მხოლოდ მცირე ბიუჯეტის მქონე კინოპროექტებს აქვთ.

გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც საექსპერტო კომისია დადებითად აფასებს პროექტს, მაგრამ უარს ეუბნება ავტორებს საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი სახსრებით დაკმაყოფილებაზე და მოთხოვნილზე ნაკლებ თანხას სთავაზობს. იმ მოსაზრების გამო, რომ შეთავაზებული თანხებით პროექტის რეალიზებას ვერ შეძლებდნენ, კონკურსში გამარჯვებული პროექტების რამდენიმე ავტორმა უარი განაცხადა მოპოვებული სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის მიღებაზე.

გამოიკვეთა კატეგორია პროექტებისა (ატივობებისა), რომელთა მართვისთვისაც არ არსებობს დადგენილი წესი. მაგ. საგანმანათლებლო-კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხასიათის, საერთაშორისო კინოფესტივლებზე გასამართი ღონისძიებების ფარგლებში ფილმის პროექტების და მათ ავტორების შერჩევის შემთხვევაში, რაც რეზიუმირდება შემდეგნაირად: სისტემაში არ არის ადმინისტრაციული ქსოვილის პროცესუალურ საქმიანობასთან შესაბამისობის მოთხოვნა, მათ შორის ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების მართვას.

ორგანიზაციაში არ არის მიღებული საკონკურსო პროექტთა შემფასებელი ექსპერტების აცილების წესი. აღნიშნული წესის არსებობა ხელს შეუწყობდა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას მისი ადმინისტრაციული წარმოების მომენტში აღმოჩენის შემთხვევაში (რეალურად ასეთ შემთხვევას ქონდა ადგილი) და ადმინისტრაციული წარმოების უწყვეტობასა და მდგრადობას. აღნიშნულ წესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელოვნებო პროექტების მართვისას. ვინაიდან შემფასებელი ექსპერტი მუშაობს ე.წ. „ფაქიზ მატერიაზე“ (ამის გამო გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული შეფასების ზუსტი კრიტერიუმების შედგენა, შეფასების წესის დაცვა და შედეგების კონტროლი) და ვინაიდან აუცილებელია, რომ კონკურსანტს არ დარჩეს არაობიექტურობის განცდა, რაც შესაძლოა გამოიწვევოს იყოს მისდამი მოცემული ექსპერტის პიროვნულად ცუდი დამოკიდებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამის გამო მოსალოდნელი შეფასების არაობიექტურობით. დამატებით

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციაში არ არსებობს ექსპერტის საქმიანობის შეფასების შესაძლებლობა. ამიტომ ექსპერტის აცილების წესის არსებობა იქნებოდა კარგი როგორც ადმინისტრაციული წარმოების უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის, ასევე ორგანიზაციის სერვისებით მოსარგებლე მომხმარებელთა შორის სუბიექტურობის განცდის პრევენციისთვის.

პროექტთა შერჩევა-შეფასების სისტემაში შემავალი საექსპერტო კომისიის წევრთა შერჩევის არსებული პრაქტიკა ბადებს პროცესის არაეფექტიანად, გაუმჭვირვალედ წარმოების აღქმადობას. წესი კანდიდატის შესარჩევად საკმარისად მიჩნეული, საექსპერტო კომისიის წევრობის კანდიდატზე დასაბუთების მომზადების შესახებ, შეიცავს ნაკლოვანებებს (ზოგ შემთხვევებში ექსპერტის რეპუტაციისა და სანდოობის ამსახველი ინფორმაცია არასრულადაა ასახული).

პროექტის რეალიზება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შეფასების სისტემაზე, რომლის შედგენისთვისაც არ არსებობს დადგენილი წესი.

ვილმწარმოების დაფინანსების მიზნით გამართულ კონკურსებში ექსპერტები აფასებენ პროექტის რამდენიმე კომპონენტს, რომელთაგან ერთი არის „ფინანსური“. კომისიის წევრები მუშაობენ ყველა შესაფასებელ კომპონენტზე, ხოლო კომისიის პროდიუსერი წევრი აფასებს პროექტის ფინანსურ მხარესაც. იმის გამო, რომ არ არის დადგენილი შეფასების შედეგში თითოეული შესაფასებელი კომპონენტის ხვედრითი წილი, დგება სურათი, რომლის მიხედვითაც კომისიის ერგვარად დაკომპლექტების შემთხვევაში გაიმარჯვებდა ერთი პროექტი, სხვაგვარად დაკომპლექტების შემთხვევაში კი-სხვა. აღნიშნული პრინციპის დაცვის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება როდესაც მოქმედი კომისიის შემადგენლობა იცვლება, რასაც 2018 წელს ორჯერ ქონდა ადგილი. მოცემული პრაქტიკის მიხედვით, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში რიგ შემთხვევაში შეიძლება უპირატესობა მეტად მიენიჭოს

შემოქმედებითი თვალსაზრისით ძლიერ პროექტს, რიგ შემთხვევაში-ისეთ პროექტს, რომლის ფინანსური ნაწილიც უკეთაა მომზადებული. საკონკურსო პირობებისა და პროქტა შეფასების წესის განსაზღვრა ორგანიზაციის პრეროგატივაა. თუმცა, ამ შემთხვევაში ბუნდოვანი რჩება, როგორ უნდა მოხდეს სამთავრობო პროგრამაში აღნიშნული საუკეთესო პროექტის შერჩევის უზრუნველყოფა, თუკი არსებული პრაქტიკით საუკეთესოდ სხვადასხვა პარამეტრების მქონე პროექტი შეიძლება გამოვლინდეს. გარდა ამისა, სააპლიკაციო საბუთების შეტანის შემდეგ კომისიის რაოდენობის განსაზღვრა, რაც მოიცავს წინამდებარე მსჯელობაში აღწერილ შედეგებს, ნაკლებად პასუხობს საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში მმართველობითი სისტემისადმი წაყენებულ პროგნოზირებადობის მოთხოვნას თუნდაც იმის გამო, რომ კონკურსის მონაწილეები ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პრიორიტეტებზე ორიენტაციას ვერ შეძლებენ.

შეფასების სისტემა საჭიროებს ოპტიმიზაციას შეფასების ფორმულარის ნაწილშიც, რაც ასახული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის დასკვნაში. უნდა აღნიშნოს, რომ „აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის შეფასების ფორმულარში არის მეტი სიცხადე, ვიდრე კინოცენტრის შემთხვევაში. კერძოდ, მეტწილად მოხერხებულია პროექტის ნაწილების შეფასების რიცხოვრივ მონაცემებთან დაკავშირება.

საქართველოს კანონი ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ ამბობს, რომ სახელმწიფო დაფინანსების წილი ეროვნული ფილმის წარმოებაში, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ფილმის საერთო ხარჯთაღრიცხვის 75 პროცენტს. კინოცენტრის პრაქტიკაში დანერგიალია 25%-იანი ალტერნატიული დაფინანსების მოთხოვნა, თუმცა არსებობს რისკი სახელმწიფო სახსრები გაიხარჯოს ალტერნატიული დაფინანსების ნაცვლადაც. რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა არის აუცილებელი ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის.

მოცემული შემთხვევისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა, ორგანიზაციას დაედო ერთობლივი ხელშეკრულება საპროდიუსერო კომპანიასთან და ალტერნატიული დაფინანსების გამცემ სტუდიასთან (განხილულია ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის შემთხვევა).

გარდა აქტივობის შესრულების ფაქტის აღრიცხვისა და ფინანსური ხარჯვის დამადასტურებელი საბუთების შემოწმებისა, მნიშვნელოვანია მზა პროდუქტის ფინანსური ანალიზი-განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი ნამუშევარი გაწეულ ხარჯებს (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიზუსტის მაღალი ხარისხის მიღწევა ამ მიმართულებით რთულია). ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისაღები/ჩასაბარებელი პროექტის მხატვრული და შინაარსობრივი მხარის საპროექტო მოცემულობასთან შესაბამისობის დადგენა.

ორგანიზაციის კვარტალურ ანგარიშებში ასახული არ არის პროექტის მიმდინარეობისა და შესრულების დადგენილი ვადების დარღვევის/გადაწევის ფაქტები და მათი გამომწვევი მიზეზები, რის გამოც შეუძლებელია პროგრამის/ქვეპროგრამის მიმდინარეობის ქმედითი მონიტორინგი და გამომწვევებზე რეაგირება. აღნიშნული ვითარება შესაძლებელს ხდის, სამინისტროს მიერ შესრულებული პროექტების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია შედგებოდეს დასრულების ვადის გადაწეული პროექტებისგან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული შესრულებული აქტივობების რაოდენობა უტყუარად არ მეტყველებს თავდაპირველი ვარიანტით დადგენილი გეგმის შესრულებაზე. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროექტების მართვისთვის აუცილებელია პროექტის დასრულების ვადის გადაწევის შესაძლებლობა. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ამდგვარი ღონისძიებებისთვის შედგენილი იყოს რაც შეიძლება დეტალური რეგულაცია. 2016 წელში წინა წლებიდან დასრულების ვადის გადაწევის გამო გადავიდა 13 პროექტი, 2017 წელში -14 პროექტი. საერთო ჯამში, კონკურსში გამარჯვებულ პროექტთა ნახევარზე მეტს გადაწეული აქვს დასრულების ვადა. არის კონკურსები, რომელთა გამარჯვებული

პროექტების 100% ახანგრძლივებს პროექტის დასრულების ვადას. მათ შორის არის დაფინანსება მიღებული პროექტებიც. არის ვადის არაერთჯერადი გადაწევის შემთხვევები, რაც დროით განზომილებაში პროექტის მიმდინარეობის წინასწარ შეთანხმებულ პერიოდს რამდენჯერმე აჭარბებს და წლებიც კი გრძელდება. ასეთ შემთხვევაში დროში ხანგრძლივდება იმ მიზნების რეალიზება, რისთვისაც განკუთვნილია სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა. გამოდინარე აქედან, ლეგიტიმურად უნდა დაისვას შეკითხვები:

- ხომ არ გაიცა დაფინანსება მოუმზადებელ პროექტზე (რომელიც არ აკმაყოფილებდა ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს)?
- საკმარისად არის განსაზღვრული ორგანიზაციაში პროექტის დაფინანსების პირობები?
- რამდენად ადეკვატურად შეაფასა საექსპერტო კომისიამ საპროექტო განაცხადები?

ხელმძღვანელობისადმი ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროექტების დასრულების ვადის ცვლილების და აღნიშნული გადაწყვეტილების მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია მოცულობით და ძალიან მნიშვნელოვან საქმიანობას ასრულებს, მისი ფინანსური მხარდაჭერით შექმნილ კინოფილმებზე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის საკითხი კვლავაც სრულყოფას საჭიროებს. „კინემატოგრაფიის“ განმარტებაში შემავალი სიტყვა „გავრცელება“ გაიგივებულია ძირითადად დისტრიბუციის მხარდაჭერასთან, რაც ქართულ სინამდვილეში უმოქმედო პუნქტია. კინოცენტრმა თავისი არსებობის მანძილზე ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა მრავალი სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი, მხატვრული, დოკუმენტრული და ანიმაციური ფილმის წარმოებას, თუმცა მაყურებელი იქიდან მხოლოდ ნაწილს იცნობს. ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული ფილმების ნაწილი საზოგადოებისთვის უცნობია იმ

მიზეზის გამო, რომ ისინი მაყურებლებისთვის, ფართო საზოგადოებისთვის ნაჩვენები არ ყოფილა.

ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები:

1. სახელმწიფოს განვითარების ხედვაში კულტურის სფეროს პრიორიტეტულობა;
2. კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოებისათვის ღირებულებათა სისტემაზე ზრუნვის კომპონენტის აქტივაცია (რეკომენდირებული ხერხი-თემატური კონკურსების ჩატარება);
3. კინემატოგრაფიის შესაძლებლობების ფართოდ გამოყენება, კინოწარმოების პროექტებითვის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა;
4. ზემდგომ და ქვემდებარე უწყებებში მსგავსი პროექტების მართვის პრაქტიკის შეცვლა პროფესიული დარგის ადმინისტრირების ორგანოსთვის პრიორიტეტის მინიჭებით;
5. გეგმებში და ბიუჯეტის კანონში შესულ შესრულების რაოდენობრივ მაჩვენებლებთან შორის ღირებულებითი კომპონენტის დამატება. ამისათვის:
 - სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ საზოგადოების აზრის შესწავლა;
 - კრიტიკოსთა შესაძლებლობების გამოყენება;
6. ადმინისტრაციული ორგანოსთვის განმეორებითი ხასიათის საქმიანობაზე რეგულაციების შემუშავება;
7. ორგანიზაციის სამოქმედო გეგმისთვის მოთხოვნების დადგენა (მათ შორის პროექტების, აქტივობების ასახვის შესახებ);
8. ორგანიზაციებისთვის რისკების შესწავლა (მათ შორის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით) და რეაგირება;

9. სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის მინიჭების მიზნით პროექტთა შეფასების სისტემის სრულყოფა, მათ შორის „შეფასების წილობრივი მოდელის“ დანერგვა, შეფასების ფორმულარის ოპტიმიზაცია, ექსპერტთა შერჩევისა და ფუნქციონირების წესის გაუმჯობესება. ვინაიდან ექსპერტები შემოქმედებით პროექტებს, ე.წ. „ფაქიზ მატერიას“ აფასებენ, მათ შესარჩევად უნდა დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები, ისეთები როგორცაა კარგი რეპუტაცია და სანდოობა, აღნიშნულ პოზიციაზე პირთა ღია კონკურსის წესით შერჩევა;
10. დაფინანსებული პროექტების მართვის სისტემის სრულყოფა (მონიტორინგის და ანგარიშგების ნაწილში);
11. სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით რეალიზებულ პროექტთა გავრცელებისთვის ღონისძიებების გატარება;
12. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესაბამისად სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით შექმნილ პროდუქციაზე წვდომისთვის სპეციალური მიდგომების შემუშავება;
13. მართვის წესის გაუმჯობესება-კულტურის სფეროს სპეციფიურობა ართულებს ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასებისთვის მკაცრად-განსაზღვრული მაჩვენებლების არსებობას. ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია მართვის წესის არა გაიოლება, არამედ მისი დაკონკრეტება (რეგულაციების და ანგარიშვალდებულების ნაწილებში);
14. ორგანიზაციის მუშაობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება დარგის სპეციფიურობის მიხედვით;
15. საზოგადოებაში კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში არაფორმალური და კლანური გავლენების შესახებ აღქმადობის პრევენცია;
16. შიდა და უწყობრივი კონტროლის დანერგვა/გაზრდა;
17. გამჭვირვალების ხარისხის გაზრდა: ადმინისტრაციული ორგანოს სამოქმედო გეგმების, საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების,

შედეგების, პროექტთა შეფასების დადგენილი პრიორიტეტების, კრიტერიუმების, წესის, საზოგადოების მიერ დასრულებულ პროექტთა შეფასების მაჩვენებლების საჯარო სივრცეში (ვებგვერდი) ხელმისაწვდომობა.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ:

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში:

1. ნინა ხატიაშვილი - პოლიტიკისა და კულტურის ურთიერთქმედების თავისებურებები თანამედროვე საქართველოში, ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ №4(36), ტ. II, ტსუ, 2015;
2. ნინა ხატიაშვილი - მედია, პოლიტიკა, საზოგადოება, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ 32, ტსუ, 2015;
3. ნინა ხატიაშვილი, ოთარ ქოჩორაძე - თანამედროვე ქართული სახელმწიფოს სულიერი უსაფრთხოება, ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ №2(46), ტსუ, 2018

მიღებულია მონაწილეობა შემდეგ სამეცნიერო კონფერენციებში:

1. „ხელისუფლება და საზოგადოება“, ტსუ, 2015;
2. „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება“, ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი, 2018;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 86-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2018.

ავტორის მიერ მომზადებულია და დაცულია სამი კოლოქვიუმი. კერძოდ:

1. შედეგზე ორიენტირებული მმართველობის ასპექტები - კულტურის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის გზები;
2. თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მიზნები და ამოცანები კულტურის სფეროში;

3. კულტურის სფეროს პროექტების სახელმწიფო მართვა კინოს მაგალითზე.

ნაშრომის გამოყენების არეალი

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია კინემატოგრაფიის პროფესიული დარგის მმართველობის მაგალითზე. თუმცა, მრავალი მიდგომა და რეკომენდაცია საერთოა ხელოვნების სხვა დარგებისთვის და ზოგადად კულტურის სფეროს სახელმწიფო მმართველობისთვის. შესაბამისად, ნაშრომის შედეგები განკუთვნილია კულტურის სფეროს სახელმწიფო ადმინისტრირების ინსტიტუციათათვის, მათ შორის კინოს პროფესიული დარგის მმართველობისთვის. ნაშრომის მასალების გამოყენება შესაძლებელია სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისთვის პოლიტოლოგიის, სახელმწიფო მართვის, კულტუროლოგიისა და კულტურის სოციოლოგიის მიმართულებებით.